

**საქართველოს მთავრობის  
დადგენილება №369  
2015 წლის 23 ივლისი ქ. თბილისი**

**„მიკროორგანიზმებითა და მიკრობული წარმოშობის  
ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებებით დაბინძურებისაგან  
ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ“ დებულების დამტკიცების  
თაობაზე**

**მუხლი 1**

ადამიანის ჯანმრთელობასა და გარემოზე მავნე ზეგავლენის აღსაკვეთად, ანთროპოგენური ზემოქმედების შედეგად ატმოსფერული ჰაერის მიკროორგანიზმებით დაბინძურებისაგან დაცვის სამართლებრივი რეჟიმის განსაზღვრის მიზნით „ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-14 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, დამტკიცდეს „მიკროორგანიზმებითა და მიკრობული წარმოშობის ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებებით დაბინძურებისაგან ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ“ თანდართული დებულება.

**მუხლი 2**

დადგენილება ამოქმედდეს საქართველოს პრეზიდენტის შესაბამისი სამართლებრივი აქტის ძალადაკარგულად გამოცხადებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი

*ირაკლი ღარიბაშვილი*

**დებულება**

**მიკროორგანიზმებითა და მიკრობული წარმოშობის ბიოლოგიურად  
აქტიური ნივთიერებებით დაბინძურებისაგან ატმოსფერული  
ჰაერის დაცვის შესახებ**

**მუხლი 1. ზოგადი დებულებანი**

1. დებულება შემუშავებულია „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“, „გარემოს დაცვის შესახებ“ და „ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონების შესაბამისად.

2. დებულება განსაზღვრავს ადამიანის ჯანმრთელობის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, აგრეთვე დასახლებული ადგილების ატმოსფერული ჰაერის ხარისხის დასაცავად მიმართულ ღონისძიებებს იმ ობიექტების განლაგების, დაპროექტების, მშენებლობის, რეკონსტრუქციისა (ტექნიკური გადაიარაღება) და

ექსპლუატაციისას, რომლებსაც შესაძლოა მიკროორგანიზმებითა და მიკრობული წარმოშობის ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებების გამოყოფით მავნე ზეგავლენა მოახდინონ ატმოსფერულ ჰაერზე.

## **მუხლი 2. მიკრობული დაბინძურების წყაროები და ნორმატივები**

1. ატმოსფერული ჰაერის მიკრობული დაბინძურების წყაროს წარმოადგენს საწარმოო პროცესი, ატმოსფერულ ჰაერში საწარმოო შენობებიდან ორგანიზებული და არაორგანიზებული გამონაფრქვევები და სხვ.

2. ცოცხალი მიკროორგანიზმებისა და ბიოლოგიურად აქტიური აეროზოლების შემცველობაზე ატმოსფერული ჰაერის კონტროლის განხორციელების შესაძლებლობას იძლევა კვლევის თანამედროვე მეთოდებზე დაყრდნობით დამუშავებული ატმოსფერული ჰაერის დამაბინძურებელი წყაროების იდენტიფიკაციის სქემა (დანართი №1).

3. მიკროორგანიზმებითა და მიკრობული წარმოშობის ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებებით ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების ხარისხის რეგულირების საფუძველს წარმოადგენს მარეგლამენტირებელი ნორმატივი – ზღვრულად დასაშვები კონცენტრაცია (ზდკ).

4. მიკრობპროდუცენტებისა და ბაქტერიული პრეპარატების მავნე ზემოქმედების თავიდან ასაცილებლად, რადგანაც მიკროორგანიზმებს აქვთ ადამიანის ორგანიზმზე რეზორბციული ზემოქმედების უნარი, დგინდება განსხვავებული მარეგლამენტირებელი ნორმატივი – საშუალო სადღეღამისო ზღვრულად დასაშვები კონცენტრაცია (ზდკ სს). საშუალო სადღეღამისო ზღვრულად დასაშვები კონცენტრაცია (ზდკ სს) გამოისახება მიკრობული უჯრედების რაოდენობით 1მ3 ჰაერში.

5. დასახლებული ადგილების ატმოსფერულ ჰაერში ზოგიერთი მიკროორგანიზმპროდუცენტებისა და ბაქტერიული პრეპარატების ზღვრულად დასაშვები კონცენტრაციები მოცემულია №2 დანართის №1 და №2 ცხრილებში.

6. ყველა სამრეწველო შტამი უნდა მიეკუთვნებოდეს არაპათოგენურ ან პირობით პათოგენურ მიკროორგანიზმებს, რომლებიც ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის კლასიფიკაციით მიეკუთვნებიან რისკის II ჯგუფს (ზომიერი ინდივიდუალური რისკი და მთლიანად მოსახლეობისათვის შეზღუდული რისკი), რაც საშიშროების ხარისხის მიხედვით შეესაბამება III და IV კლასებს.

## **მუხლი 3. მიკრობიოლოგიური მრეწველობის საწარმოთა კლასიფიკაცია**

1. სანიტარიული კლასიფიკაციით დადგენილია მიკრობიოლოგიური მრეწველობის საწარმოთა 4 კლასი, სამრეწველო პროცესის ტიპისა და საშიშროების მიხედვით.

2. I კლასს განეკუთვნება საწარმოები, რომლებიც აწარმოებენ ცილოვან-ვიტამინურ კონცენტრატებს ნახშირწყლებიდან (ნავთობი, ეთანოლი, მეთანოლი, ბუნებრივი აირი), ან იყენებენ პათოგენობის I-II ჯგუფის მიკროორგანიზმებს.

3. II კლასს განეკუთვნება საწარმოები, რომლებიც აწარმოებენ:

ა) საკვებ ბაციტრაცინს;

ბ) მიკრობიოლოგიური სინთეზის მეთოდით მიღებულ საკვებ ამინომჟავებს;

გ) ანტიბიოტიკებს;

დ) მერქნისა და სოფლის მეურნეობის ნარჩენებისაგან ჰიდროლიზის მეთოდით მიღებულ საკვებ საფუვრებს, ფურფუროლსა და სპირტს;

- ე) ზედაპირული მეთოდით მიღებულ სხვადასხვა დანიშნულების ფერმენტებს;
- ვ) მცენარეული ნედლეულისაგან მიღებულ პექტინებს.

4. III კლასს განეკუთვნება საწარმოები, რომლებიც აწარმოებენ:

ა) საკვებ საფუვრებს;

ბ) ბიოპრეპარატებს მცენარეთა დაცვისათვის სოფლის მეურნეობაში გამოსაყენებლად;

გ) მიკრობიოლოგიური სინთეზის გზით მიღებულ მცენარეთა დაცვის საშუალებებს;

დ) ვაქცინებსა და შრატებს;

ე) აგრეთვე მიკრობიოლოგიური პროფილის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები და საწარმოები.

5. IV კლასს განეკუთვნება საწარმოები, რომლებიც აწარმოებენ სხვადასხვა დანიშნულების ფერმენტებს სიღრმივი კულტივირების მეთოდით.

**დანართი №1**

პროდუცენტ-მიკროორგანიზმების ტამები

არაცოცხალი უჯრედების ან მათი სტრუქტურული ელემენტების მიკრობული სინთეზის პროდუქტები

ცხრილი №1

<p>1. ლიტერატურული მონაცემები</p> <p>მიკროორგანიზმების სახეობისა და გვარის თვისებების</p> <p>2. შესასწავლი შტამების მორფოლოგიური და კულტურალური თვისებები შტამების</p> <p>3. შტამის პათოგენური თვისებების შეფასება (საშუალო ვირულენტური</p> <p>ატმოსფერულ ჰაერში მიკრობ-</p> <p>დასახლებული ადგილების ატმოსფერულ ჰაერში ზოგიერთი მიკროორგანიზმ-პროდუცენტების ზღვრულად დასაშვები კონცენტრაციები</p>	<p>პროდუქტის სრული ტოქსიკოლოგიური და</p> <p>პროდუქტის ატმოსფერულ</p> <p>ზღვ-ს დადგენა (თუ არ არის</p>
--	---

N	მიკროორგანიზმ-პროდუცენტის დასახელება	დანიშნულება	ზღვ უჯრ/მ <sup>3</sup>	ზღვს უჯრ/მ <sup>3</sup>	საშიშროების კლასი	ორგანიზმზე მოქმედების თავისებურება
1	ართრობაქტერია Arthrobacter sp/ OC-1	დიკლორის პროდუცენტი		300	III	

2	ბაცილურ სუბტილიოსის ბიორეაქტორი –1 Bac.subtilis 2160	რიზოფლავინის პროდუცენტი		500	III	ა
3	ფსევდომონა ფლუორესცენსის შტამი ბე-68844 Pseudomonas fluorescens B –6844	ნავთობით დაბინძურების გამწმენდი პრეპარატი		500	III	ა
4	ფსევდომონა ფლუორესცენცი (Pseudomonas fluorescens (denitrificans)& B-99)	B <sub>12</sub> - ვიტამინის პროდუცენტი	200		III	
5	პროდოკოკუსის როდოქროუსის შტამები ემ-8 და ემ-33 (Prodococcus rhodochrous M-8, M –33)	ნიტროლჰი-დრატაზას პროდუცენტი პრეპარატის კომპონენტი ნიტრიტები-დან ამიდების მისაღებად		5 000	III	
6	სტრეპტომიცეს ავერმიტილისი (Streptomyces avermitilis DYBBC (V-54)	ავერმეკტინის პროდუცენტი		500	III	
7	სტრეპტომიცეს ავერფაციენსი 777 (Streptomyces avereofaciens 777)	ბიოვიტისა და ქლორტეტრაცი კლინის პროდუცენტი	500		III	À
8	სტრეპტომიცეს კრემორსი (Streptomyces cremeus subsp. Tobramicini)	ტიბრამიციინის და აპრამიციინის პროდუცენტი		500	III	À

ცხრილი №2

დასახლებული ადგილების ატმოსფერულ ჰაერში ბაქტერიპარატების ზღვრულად დასაშვები კონცენტრაციები					
N	მიკროორგანიზმ-პროდუცენტების საფუძველზე მიღებული ან დამზადებული პრეპარატების დასახელება	დანიშნულება	ზღვ სს უჯრ/მ <sup>3</sup>	საშიშროების კლასი	ორგანიზმზე მოქმედების თავისებურება

1	ბაცილუს ტურინგიენზის ვარცაიკაზიუსის ( <i>Bacillus thuringiensis, varcaicasicus</i> ) საფუძველზე წარმოებული ბაქტერიულ - ინსექტიციდური	ინსექტიციდური პრეპარატი	5 000	III	
2	ბიტოსიბაცილინი ბაცილუს ტურინგიენზისის ( <i>Bac.thuringiensis var. Thuringiensis</i> ) საფუძველზე წარმოებული	ინსექტიციდური პრეპარატი	$4.5 \cdot 10^4$	III	ალერგიული დაავადებების გამომწვევი ბაქტერიული პრეპარატები
3	დენდრობაცილინი ბაცილუს ტურინგიენზისის ( <i>Bac.thuringiensis var.denboeimus</i> ) საფუძველზე წარმოებული	ინსექტიციდური პრეპარატი	$3 \cdot 10^4$	III	ალერგიული დაავადებების გამომწვევი ბაქტერიული პრეპარატები
4	კოლორადო ბაცილუს ტურინგიენზისის ( <i>Bac.thuringiensis var.tenbrionis</i> ) საფუძველზე წარმოებული	ინსექტიციდური პრეპარატი	5 00	III	
5	ლეპიდოციდი ბაცილუს ტურინგიენზისის ( <i>Baciliusthuringiensis</i> ) საფუძველზე წარმოებული	მცენარეთა დაცვის საშუალება	$3 \cdot 10^5$	III	
6	ცილოვან-ვიტამინური კონცენტრატის მტვრის ცილა (<DR)	საკვების ცილების ვიტამინების კონცენტრატები	$0.1 \frac{\text{g}}{100\text{g}}$	III	
7	მეპრინი ბაქტერიოლოგიური		$0.002 \frac{\text{g}}{\text{l}^3}$	II	